



## ლიზა ხუციშვილი

ქალაქ გორის №112 საჯარო სკოლა

### ჩემი ფილოსოფოსი

რა არის ცხოვრების მასაზრდოებელი წყარო? გრძნობები, რომლებიც სასრულია. ადამიანები, რომლებიც მოდიან, მატერიალური ნივთები, რომლებიც ვერ ძლებენ დიდ ხანს. ან თუნდაც, რა ხარ შენ? გაუცნობიერებელი თვითგვემა. დუმილი. ყოველი კამათის დროს შენ ჩუმად ხარ. გეშინია შემდეგი კითხვის. ნელ-ნელა ხვდები, რომ იმდენი არგუმენტი და კონტრარგუმენტი გაქვს თითქოსდა ცარიელ თავეში, რომ იწყებ ფიქრს. ვითარდები, მაგრამ — ეტაპობრივად. მიდიხარ წერტილამდე, რომელთანაც ხვდები, რომ ზედმეტი ფიქრი ერთი ნაბიჯია კატასტროფამდე. ყოველდამე ასწორებ შენს თავს მიწასთან. შენი ერთი „მე“ ყველანაირ მოსმენილს, წაკითხულს ან ნანახს იხსენებს. ვერ ხვდები, ამ მომენტში შენი საკუთარი თავის როგორი ვერსია ხარ.

არასტაბილურობა. შენ ფიქრობ, მაგრამ ვერ აზროვნებ. შენ ფიქრობ, მაგრამ ვერ სწვდები აზრის მთავარ არსებას. მიისწრაფვი არაადამიანური ცვლილებებისკენ, თითქოს აცნობიერებ და ხვდები აზრს, რომელიც შენ არ გეკუთვნის, მაგრამ ვერ სწვდები აზრის მთავარ სათქმელს. შენ ადამიანური თვისებები გჭირდება. სტაბილურობა. ძალა, რომ იაზროვნო მყარად, რომ იყო პიროვნება, რომ იარსებო დეტერმინირებულად.

„არსებობა წინ უსწრებს არსებას“ — ნიცშე. ინფორმაციები, რომლებიც თვისისაც ადამიანები არ არიან მზად და ზედმეტად არაადამიანური ადამიანი. კაცი, რომელმაც დაამტკიცა, რომ ზედმეტი ინფორმაცია ადამიანს სასრულამდე მიიყვანს.

გიფართოებს თვალსაწიერს. გაგრძნობინებს რეალობას, რომელშიც შენ ხარ. აღარ უშვებ აზრს, რომ სიკეთე და ბოროტება არსებობს. გიქმნის ბუნებას, რომელშიც რთულია არსებობა. მაგრამ რა არის ადვილი? ადვილი იყავი შენ, სანამ დაიწყებდი ჭეშმარიტ აზროვნებას.

ის არსაით არ მიისწრაფვის, არც ერთ წერტილზეა გაყინული. შეუმჩნეველია და, იმავდროულად, სინათლის სიჩქარის სისწრაფით მიექანება ჭეშმარიტებამდე. არცდილობს, მაგრამ იპყრობს შენს გონებას. ყველა მისი მოსაზრება მყარია. ესაა ფილოსოფოსის ნიჭი. არ გახვედრებს არაფერს, არც გასწავლის, ის გაძლევს განსჯის უფლებას. თუ წაკითხვისას ყველა სიტყვას კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებ, მაშინ წადი და იარსებე, როგორც



„ადვილმა“ პერსონამ. ადამიანი მიისწრაფვის სირთულისკენ. შენ კი სიადვილე შიგნიდან შეგჭამს, რადგან მიისწრაფვი არაადამიანურისკენ.

რას გვასწავლის ის? — არაფერს. ის გვახვედრებს. თეთრია და შავიც. ჭეშმარიტია, მაგრამ მარცხს გაგრძნობინებს, ყოველგვარი შიშის გარეშე. გზღუდავს და გაცლის ჩარჩოებს. გაგრძნობინებს ემპათიას და აპათიას, პროგრესებს და რეგრესებს, ოქსიმორონის დელიკატურ აღრევას. გაგრძნობინებს რეალობას, რომელიც უსიტყვოდ, მაგრამ ყველა ენაზე გეუბნება, რომ სწორ დროში, სწორ ადგილას და სწორ მომენტში ხარ.

ნიცშე — კაცი „ყველა და არავინ“.



## ლუკა კოკია

ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლა

### ქრისტიანობის არსი

როდესაც შინაგანად დაცარიელებული საკუთარ ოთახში შედიხარ, არ ანთებ შუქს, უბრალოდ, წვები და ფიქრობ, რომ გტკივა ის, რაზეც ვერავის ესაუბრები, იაზრებ, რომ არავინ გყავს გარშემო და შენი გზა არა ბედნიერებისკენ, არამედ სიცოცხლეშივე სიკვდილისკენ მიდის. უეცრად იგრძნობ, რომ მართო არ ხარ, იგრძნობ სიხარულს და განცდას იმისას, რომ ხვალინდელი დღე მორიგი შესაძლებლობაა. ზეცამ მოგცა საშუალება, რომ ხვალაც იხილო დღის შუქი. აქედან იწყებ სიყვარულის სწავლას, ჰოულობ ჰასუნებს იმ კითხვებზე, რომლებსაც ადამიანის მიერ შექმნილი ვერც ერთი მეცნიერება ვერ უმკლავდება. აქედან იბადება შენში რწმენა და მაღლიერება უფლისადმი და აი, აქედან ხდები მორწმუნე, აქედან იწყებ სვლას ქვემარტებისკენ და გრძნობ, როგორ იბადება შენში ქრისტიანი.

არც ერთი სინონიმი არ შეესაბამება სიყვარულს ასე ზუსტად, როგორც ქრისტიანობა. თამამად ვაცხადებ, რომ მისი არსი უმანკო სიყვარულია, სიყვარული საკუთარი თავის, მოყვასის, მტრისა და უფლის მიმართ. სწორედ ამას მოიცავს ქრისტიანობა. სამწუხაროდ, ხშირად მიაჩნიათ, რომ ქრისტიანობის არსი ისეთი ღრმა არის, შეუძლებელია, მისი არსი ადამიანმა გაიაზროს. ჩემი აზრით, ეს არა გაუაზრებლობის, არამედ უსიყვარულობის ბრალია. როგორ შეიძლება ქრისტიანობა ადამიანის სიყვარულსა და უფლის სიყვარულს არ გულისხმობდეს, როდესაც მან გოლგოთაზე ჩვენ გამო ასეთი მსხვერპლი გაიღო. მასაც ხომ ჩვენი გულიდან წამოსული გრძნობები სურდა. თუ დოსტოვესკის დავეყრდმობით, უფალი იმიტომ არ გარდმოიხსნა ჯვრიდან, როცა უყვიროდნენ: „იხსენი თავი შენი,“ რომ მას არ სურდა სასწაულის ძალით მიღებული სიყვარული. უფალს ჩვენი სიყვარული უნდოდა და არა — ძალაუფლების შიშით გამოწვეული გულისწადილი.

სწორედ ეს რელიგია გვაძლევს რწმენას, ამაშია მისი საოცრება, რომ გვაძლევს რწმენას საკუთარი თავისა და უფლის მიმართ, მისი რწმენით არსებობს მსოფლიო. ასეთი რწმენით გააპო მოსემ ზღვა, აიგო სვეტიცხოველი, „იმოგზაურა“ ალიგიერმა. ამ რწმენით ცოცხლობს სული. წმიდა რწმენის გარეშე არც ერთ საზოგადოებას, არც ერთ მიმდინარეობას



და არც ერთ დარგს არ უარსებია. არ არსებობს მწერალი, რომელსაც რწმენა არ აძლიერებს და არ არსებობს ქართული ნაწარმოები, რომელშიც რელიგიის მიმართ გრძნობები არ ჩანს. „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების,“ — ამბობს ავთანდილი და მართო ანადგურებს მეკობრეთა ფლოტს. რთულია არ დაეთანხმო — როცა რეალური რწმენა გაქვს, შეუძლებელია, რაიმე არ გამოგივიდეს. ამაშია ქრისტიანობის ფილოსოფიაც. თვით „სულით ობოლიც“ კი რწმენით მიაქროლებს მერანს უკეთესი მომავლისკენ. მან იცის, რომ მყარი რწმენით და უფლის შეწევნით იმ მომავალში გადავა, რომელიც ახალ თაობას მისცემს გზას ქუშმარიტებისკენ.

ქრისტიანის რწმენა ის დიადი გრძნობაა, რომლითაც, უფლის გარდა, ვერავინ და ვერაფერი შეგამინებს, თვით სიკვდილიც კი. პირიქით, ქრისტიანობა საიქიო ცხოვრებაში იმ სინათლეს გვიჩვენებს, რომელიც ადამიანებმა მოაშორეს დედამიწას. სწორედ ეს რწმენა არის გასაღები იმ დიადი სინათლისკენ, რომლისკენაც მიისწრაფვის ყველა მორწმუნე ადამიანი. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობის არსი არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც ყოველ პრობლემაზე უფლისგან მიღებული დახმარება, როცა იხრჩობი და ხელის განძრევის ნაცვლად, ზეცისკენ ადაპყრობ თვალებს. შენ არა ქრისტიანი, არამედ ის ფანატიკოსი ხარ, რომელმაც არ უწყის: „არ გამოსცადო ღმერთი შენი.“

განა შეიძლება თავისუფლებასაც არ მოვუძებნოთ არსი ქრისტიანობაში? ეს ის რელიგიაა, რომელიც გვაძლევს თავისუფლებას, გვეუბნება, რომ არავინაა შენი ბატონი, გარდა უფლისა და დედამიწაზე შენ საკუთარი თავის უფალი ხარ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ისევ არასწორად მივიღეთ ეს. მისი სახელით განვიკითხეთ ძმა ჩვენი და მტერი ჩვენი, მისი სახელით ვიძალადეთ, მისი სახელით გავაგზავნეთ ჯვაროსნები იერუსალიმში და „ქრისტიანობის სიყვარულის“ სახელით ათივე მცნება ერთმანეთის მიყოლებით დავარღვიეთ. ადამიანებმა ქრისტესგან მხოლოდ პირჯვრის წერა ვისწავლეთ. დანარჩენი, რაც რთული იყო, მას შევატოვეთ და სწორედ ქრისტიანობის არსის თითქოს „ჩაწვდომით“ დავშორდით უფალს. დავშორდით, როცა ვცდილობდით გაგვეაზრებინა მისი სიყვარული, ამით კი მოვიპოვეთ ის სამყარო, რომელშიც არაფერია ადამიანის გრძნობებზე იაფი. მისი არსის ვერ გააზრებით დავკარგეთ სული და, როცა მისკენ გავიშვირეთ ხელები, ისიც გავიაზრეთ, რომ ქრისტიანობის არსი არა ეკლესიის წინ „უფალო შეგვიწყალებს“ წარმოთქმა, არამედ ეკლესიის წინ გლახაკის დახმარებას მოიაზრებოდა.

ამ რელიგიის არსი იმდენად წმინდაა, რომ შეუძლებელია არ შეიყვარო ის, შეუძლებელია, გულმა მისკენ არ გაგიწიოს, შეუძლებელია,



მისი შეცნობით სულმა მეტამორფოზა არ განიცადოს, გამორიცხულია, მისმა შეცნობამ მასთან შესისხლხორცება არ მოგთხოვოს. „ვინმემ რომ მაჩვენოს სხვა ჭეშმარიტი რელიგია, მე მაინც ქრისტიანობას გავყვები.“ — დოსტოევსკის ამ სიტყვების შემდეგ, განა შეგვიძლია ვერ ვიპოვით შვება? განა შეიძლება ვერ შევიყვაროთ ერთმანეთი? ქრისტიანობაც ხომ ამას გულისხმობს: ერთმანეთის სიყვარულს, იმ სამყაროს შექმნას, რომელშიც ადამიანი არ გაყიდის თავის გრძნობებს, არ განიკითხავს და ექნება იმედი საიქიოში შვების მოპოვების.

ჯორჯ ორუელთან ვკითხულობთ: „ომი მშვიდობაა, უმეცრება ძალაა, მონობა — თავისუფლება.“ მე კი ვიტყვოდი, რომ მშვიდობა ღმერთია, ძალა ღმერთია, თავისუფლება ღმერთია. ვერ გეტყვით, რამდენად მაღალფილოსოფიურად მაქვს ქრისტიანობის არსი გააზრებული, მაგრამ ვიცი, რომ ამ არსით ვცხოვრობ, ხოლო, თუ ნიცმეს დაუუჯერებთ, „ვინც იცის, რისთვის ცხოვრობს, მისთვის არ არსებობს დაბრკოლება, როგორ.“ შესაბამისად, ვიტყვი იმას, რომ ქრისტიანობის არსი არა წიგნში, არამედ საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ, თავადვე გავიაზროთ, რას ნიშნავს სიყვარული, რწმენა და თავისუფლება. მათი გააზრებით მივდივართ ქრისტიანობის არსთან. ქრისტიანობის არსს მივყავართ ღმერთთან, ხოლო ღმერთს - ჭეშმარიტებასთან, ამ არსის გააზრებით კი ხვდები, რომ ბედნიერი წახვალ იმ სამყაროში, რომელშიც სიცოცხლე უსასრულოდ გრძელდება.

ქრისტიანობის არსი მოიცავს მარადიულ სიცოცხლეს, ხოლო მისი გააზრება ნიშნავს, იცხოვრო მარადიულად. ეს არსი არ გულისხმობს მხოლოდ ერთ მხარეს და არ ემსახურება ერთ დანიშნულებას. ეს არის ხმა სიჩუმეში, თვალი — სამყაროში, ჰაერი — ვაკუუმში. ოთახში შემოსული ხმაც ეს არსია. სასოწარკვეთით დაღვრილი ცრემლი და დაცემიდან აღმაფრენაც მის არსშია. იგია ადამიანების დაკარგვა და დაკარგვის შემდეგ უფალთან ყოფნის სურვილიც. ეს არსია უკანასკნელი ფიქრი დაძინებისას. ბოლო სიტყვა გარდაცვალებამდე, ახალშობილის პირველი ტირილიც მასშია, ფანჯრიდან დანახული ხედიც მას მოიცავს. მის არსს არ აქვს საწყისი, არც დასასრული. იგია „არა სიკვდილი, არა სიცოცხლე, არამედ რაღაც სხვა...“ შესაბამისად, ეს ის არსია, რომლითაც მე ვარსებობ და, თუ ოდესმე რაიმე იქნება მარადიული, ეს ქრისტიანობის არსებაა. ამ არსით შეიქმნა სამყარო. მას დასრულება არ უწერია, სანამ არსებობენ ადამიანები. თუ ადამიანი ცოცხლობს, არსებობს სიყვარულიც, ხოლო, სადაც „არს სიყვარული, იქ არს ღმერთი.“



## მარიამ თითილოკაშვილი

ქალაქ თბილისის №39 საჯარო სკოლა

### ბიბლია ხელოვნებაში

...ტყავის ყდიან წიგნს ვმლი. სიჩუმეს მხოლოდ გაყვითლებული ფურცლების შრიალი არღვევს. ჰაერში ძველი წიგნის სურნელი დგას, ასე ძალიან რომ მიყვარს. ქართული ასოები არ არის; უცხო დამწერლობაა, რომელიც არ ვიცი, მაგრამ მაინც მესმის. თითქოს ეს წიგნი ილუზიით დაწესებულ საზღვრებს, ენის ბარიერს არღვევს და გვაერთიანებს. ალბათ, იმიტომ, რომ ყველა ამ წიგნიდან მოვდივართ...

ხელში ბიბლია მიჭირავს. ვკითხულობ და თვალწინ მემშლება მთელი წარსული. თითქოს მეცნობა, მაგრამ ცხოვრებაში ჰირველად ვკითხულობ... გამოძევება, პირველი ცოდვა, წარღვნა, აღთქმები, წინასწარმეტყველებები... ყოველივე ერთმანეთს ენაცვლება. შერეულ განცდებს იწვევს. ოკუნესავით ღრმა არის. უნდა ჩაყვინთო, ეძიო და მისწვდე. ისეთი წიგნია, რომ ყოველი წაკითხვისას ახალს აღმოაჩენ. თუმცა ერთხელ წაკითხვისთანავე ხვდები, რომ აქ თითოეული ადამიანის მიზანზეა საუბარი. აქ პასუხი გაეცემა კითხვას, რომელიც საუკუნეებია გულს უღრღნის ადამიანს — რატომ მოვედით? ჩვენი მიზანია, ჰირვანდელი სიწმინდე და სისპეტაკე დავიბრუნოთ. უფლისკენ სწრაფვა ჩვენში დევს, ჩვენს დნმ-ში დაიკლავება, თუმცა დედამიწის ამოების ბოროტლები გვიჭერენ, მიწიერი ბუნება ცოდვისკენ გვექაჩება. ახლა კი ვხვდები, რატომ არის ეს წიგნი ასე ნაცნობი — მას ხომ ყოველდღე, ყოველ წამს ვხვდები.

ზეცისკენ აღმასვლის აუცილებლობას თითოეული ადამიანი გრძნობს. ამიტომ ბიბლიურ საწყისებს ვხვდებით საკუთარ თავშიც, გარემოშიც და ურთიერთობებშიც, ვფიქრობ, ხელოვნებაშიც, რადგან ის ხომ ადამიანთა სულების ურთიერთობაა. ბიბლიის გავლენა იგრძნობა ხელოვნების ყველა დარგში — ფერწერასა და მუსიკაში, ლიტერატურასა და ქანდაკებაშიც. განა ბიბლიის მიხედვით არ არის შესრულებული მიქელანჯელოს „ადამიანის შექმნა“? რამდენჯერაც უნდა შევხედოთ, მაინც რომ ველით, მისი ხელი უფლის ხელს შეეხება, მაგრამ არა... ადამს საჩვენებელი თითი დახრილი აქვს. შეუძლია გაშალოს, მაგრამ არა... არ უნდა... შეუძლია დვთის სახედ შექმნილს უფალს მისწვდეს, თუმცა ეს ხომ დღევანდლობის ანარეკლია, ადამიანს ძალუძს, თუმცა არ უნდა.

ქანდაკება „ქრისტეს დატირებაც“ ხომ მუდამ იმას გვახსენებს,



რა დავმართეთ უფლის ძეს. თითოეული ნაკვთი, ნაოჭი, ნაკეცი ისეა გადმოცემული, თითქოს ეს დიადი ტრაგედია ჩვენ თვალწინ მომხდარიყოს. მტკიცე ქვაში გამოკვეთილი მშვენიერი ქალი ჩვენ წინ ტირის. ამის შემსრულებელ მოქანდაკეზე ხომ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ სახარება მთელი გულით შეუგრძნია.

მწერალ ჰერმან მელვილსაც თავად აქვს შენიშვნებში მიწერილი, რომ „მობი დიკის“ პერსონაჟებს ბიბლიური სახელები ჰქვიათ. განა მხოლოდ სახელებია? განა ეს შემთხვევითია?! ნუთუ კაპიტანი აქაბი მეფე აქაბივით უბედური არ იყო. ძვლის ფეხზე მყარად დაყრდნობილს რომ მხოლოდ ერთი ფიქრი — შურისძიება ტანჯავდა. თეთრი ვეშაპის მდევარს შუბლის ნაკეცი დიდი სევდა რომ აწვებოდა და მოღუშული სახის გასწორების შესაძლებლობას არ აძლევდა, ამავე წიგნში ხომ იონას ამბავიც გადმოცემულია, ბიბლიური იონასი, რომელიც ლევიათანმა შთანთქა, და გვახსენებს, რომ უფალი მოწყალეა, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა სძლიო და თქვა მხოლოდ ერთი სიტყვა: „შემინდე“.

სულხან-საბა ორბელიანი და სხვა მეიგავეებიც ხომ ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებით ხელმძღვანელობდნენ: „ხედვდენ და არა იხილონ“. ისინი ხომ იმისთვის ალაპარაკებდნენ მგლებს, დათვებს, მელიებს, რომ ჩვენ მივწვდომოდით სიმართლეს, რათა რეალობად არ დაგვრჩენოდა უიმედობას წილნაყარი სიტყვები: „ვისმენდეთ და არა გულისკმაყვით“.

ბიბლია ასულდგმულებს მიხეილ ბულგაკოვის ნაწარმოებსაც „ოსტატი და მარგარიტა“, რომელშიც ვხვდებით ჰილატეს, ქრისტესა და მაცდურ ეშმაკსაც.

ჰოეტმა გივი გეგეჭკორმაც ლექსში „ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?“ ქრისტეს აღეგორია მოიყვანა სახარებიდან, რითაც გვიჩვენა, რომ ქვეყნის მართვა მძიმე ჯვარია და, როგორც ქრისტემ გაწირა თავი, მმართველმაც უნდა გაიდოს მსხვერპლად საკუთარი ინტერესები ქვეყნისთვის.

ქართველ სიმბოლისტებშიც იგრძნობა ბიბლიის გავლენა. ტიციან ტაბიძე ვალერიან გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში ჰოეტს ბიბლიურ მოსეს ადარებს, მეწამული ზღვა რომ გააპო ებრაელი ხალხისთვის. მოსეს მსგავსად, ვალერიან გაფრინდაშვილიც ხომ „მიპაობდა“ ცხოვრების ზღვას ხალხისთვის დაწერილ ლექსებში, რათა შეექმნა უფრო ამაღლებული, „პოეზია პოეზიისთვის“.

ბიბლია ხელოვნების კიდევ ერთ დარგს — მუსიკასაც უკავშირდება. გალობა ხომ უფლის დიდებაა. ეს დამატკბობელი ხმები გულში ჩაგუ-



ბებული ქრისტეს სიყვარულია, ბაგეებიდან ამოხეთქილი - სიყვარული, რომელიც წმინდა წიგნმა ჩააგუბა.

ხელოვნება რომ სულიერი საზრდოა, ყველა თანხმდება. ეს ძალაა, რომელიც სულს ადავსებს, მის სიმებს არხევს, ადამიანს ცვლის და ამადლებს. ვფიქრობ, სამყაროს მნიშვნელოვან ნაწილში ეს ძალა იქიდან მომდინარეობს, რომ ხელოვნების ყველა დარგში დევს ბიბლიის მარცვალი. ამრიგად, ხელოვნება მცენარეა, რომელსაც ფესვები ღრმად გაუდგამს. თუ ამ ფესვებს გავყვებით, აღმოვაჩენთ, რომ ისინი ბიბლიის წყაროში ჩაზრდილან და აქედან საზრდოობენ.





## ნატალი ჩიტაია

ვლადიმირ კომაროვის თბილისის  
ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა

### მოთხრობის სიბლი

იმ დროიდან, როდესაც ადამიანმა ხელში კალამი აიღო და ასო-ბგერებით ჯერ წინადადებები, შემდეგ კი ამბის მოყოლა, აღწერა, ფანტაზიისგან გამოძერწილი ისტორიების გაზიარება ან თუნდაც, გონებაში ფირზე აღბეჭდილი მოგონებების ფურცელზე გადმოტანა დაიწყო, უამრავი ჟანრი, სტილი ჩამოყალიბდა. როგორც გ. დოჩანაშვილის მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ვკითხულობთ, ლიტერატურა ვრცელია, თუმცა მხატვრული — მხოლოდ ვიწრო გაგებით. სამწუხაროა, რომ ახალგაზრდა ინტერვიუერი ცდებოდა და თან როგორ... ალბათ, დამეთანხმებით, რომ მხატვრული შემოქმედება ბევრ ნაწილად შეიძლება დავყოთ: სათავგადასავლო, სასიყვარულო, ფანტასტიკური და ასე დაუსრულებლად... დღეს ამ მიმართულებების სათითაო განხილვას ნამდვილად არ დავიწყებ, თუმცა ვეცდები, იმ ავტორის ორი მოთხრობისგან მეცნრე ცაზე მოფარფატემ, შევძლო და აგავსოთ ემოციებით, რომლებიც ჯერ ქაოსის მორევში ჩაგითრევთ, შემდგომ კი ნაპირზე იმ სიბრძნით დატვირთულებს გამოგრიყავთ, რომლის ცოდნა ცხოვრებისეულ ფაზლებს აგაწყობინებთ. უდავოდ! მოსალოცად გექნებათ საქმე, თუ ამ მოთხრობებს თაროზე მიჩქმალულ კუთხეში აღმოაჩენთ და წაკითხვის შესაძლებლობა მოგეცემათ.

შესავლის დასრულებისთანავე მივხვდი, რამხელა ინტრიგის გარემოცვაში ჩამიყენებინართ, ამიტომ ბევრი რომ არ გავაჭიანურო, იაპონიას, ამომავალი მზის ქვეყანას, ვეწვიოთ, ვგონებ, აქ შეცდომას დაუშვებთ და იაპონიის ხსენებისას ჰ. მურაკამის გაგების მოლოდინით აღივსებით (აღსანიშნავია, რომ ამ კაცს ნობელის პრემიაც კი არ აქვს აღებული, ი. კავაბატასგან განსხვავებით), თუმცა დღეს აკუტაგავას ორ გენიალურ მოთხრობაზე დაგელაპარაკებით. პირველია „უსიერ ტყეში“, რომლის მცირე მოცულობა მის მარტივად აღქმაში ნამდვილად არ დაგეხმარებათ.

მე პირადად ოთხჯერ წაკითხვა დამჭირდა, რომ შინაარსი გამეგო, მთავარ სათქმელს კი მხოლოდ ორი დღის შემდეგ მივხვდი. სიუჟეტის არაქნობილი (ბერძნულ მითოლოგიაში ჩახლართულის სინონიმად გამოიყენება) სიტუაცია თავგზას გირევს და მხოლოდ საკუთარ ინტუიციასზე დაყრდნობით ცდილობ, გაერკვე სიმართლეში, რომელსაც ყველა განს-



ხვავებულად გვიყვება. კითხვის პროცესში თავიდან დეტექტიური მოთხრობის შთაბეჭდილებას ტოვებს და იწყებს მცდელობას, სანამ ავტორი გაგიმხელს, მანამ აღმოაჩინო დამნაშავე. თუმცა სასამართლოზე წარდგენილი ეჭვმიტანილები თუ მოწმენი რადიკალურად განსხვავებულ ისტორიებს ჰყვებიან. ყველაზე მეტი ცინიზმით საესე ეპიზოდი იყო, როცა ცოლი თვით ეკლესიასთანაც, სადაც შენი კონფიდენციალურობა დაცული უნდა იყოს, კი არ არის გულახდილი. გაურკვეველი სიტუაცია შეიძლება ყველამ თავისებურად, თავის სასიკეთოდ შეფუთოს და სიმართლე მიუღწევად ობიექტად აქციოს. ავტორზე თავიდან გავბრაზდი, ისიც კი ვიფიქრე, ამაზე სულელური არაფერი წამიკითხავს-მეთქი, რადგან ვერ ვიგებდი, ვინ იყო მართალი და ვინ — მტყუანი. ასეთ ზედაპირზე მოცურავემ, ჩაყვინთვისას გავიგე, რომ მწერალს ამის დაწერისას სულ სხვა მოტივი ამოძრავებდა. მას სურდა ეჩვენებინა, რომ სამყარო ის მრავალკუთხედიანია, რომელსაც ყველა განსხვავებული კუთხით უყურებს. ამაზე ის ფილოსოფიური ამოცანა მახსენდება: რამდენი მაგიდაა ოთახში, თუ იქ ორი ადამიანია? და, ჩვენდა გასაკვირად, პასუხი სამია: მაგიდა, რომელსაც ის ორი სხვადასხვაგვარად აღიქვამს და მესამე თვითონ — „ჭეშმარიტად“ არსებული მაგიდა. ასე რომ, ობიექტურობა ძნელი მისაღწევია, როდესაც ყველას ჩვენ-ჩვენი სუბიექტურობა გვახასიათებს.

ვგონებ, მეორე მოთხრობაზე გადასვლის ჟამი დადგა და ეს განხლავთ „ნანკინელი ქრისტე“. თუ ლევან ბერძენიშვილის ლექციებს ხშირად ესწრებით, შეიძლება, გაგონილიც კი გქონდეთ ამ უნიკალური ნაწარმოების შესახებ. შინაარსზე საუბრით თავი რომ არ მოგაბეზროთ, გეტყვით, რომ ქრისტეს რწმენა მხოლოდ ათი მცნებით, მარხვითა და ლოცვით არ შემოიფარგლება. ეს იმდენად პირადულია, რომ დებატებზე დროის დახარჯვად არ ღირს. მეძავსაც აქვს სრული უფლება, სწამდეს ღმერთის, რადგან კარგად არის განმარტებული მისი სტატუსის აუცილებლობა, ხოლო ნანკინელი კაცი, რომელიც ქრისტეს ჰგავს და მთავარ პერსონაჟს მხსნელად ევლინება, ერთ-ერთი დაუფასებელი სასწაულებრივი მოვლენაა, რომელიც აღიარებას იმსახურებს. განვითარებასთან ერთად შეუძლებელია ისევ ძველი კანონებით ხელმძღვანელობა. ყველას აქვს უფლება, ირწმუნოს ის, რაც აძლიერებს და ბრძოლის უნარს მატებს შინაგანი სიმშვიდის მოსაპოვებლად, რაც სრულყოფილების ტოლფასია. თუმცა აქვე გეტყვით ერის მარია რემარკის სიტყვებს: „ცხოვრებას შენი სრულყოფილად ქცევა არ განუსაზღვრავს, სრულყოფილების ადგილი მუზეუმშია“.

დასასრულისას კი გისურვებთ, ამ მომხიბვლელ მოთხრობებს თქვენს ბიბლიოთეკაში საპატიო ადგილი დაეკავებინოს!



## ნინო მოცრაძე

აკაკი წერეთლის სახელობის  
ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლა

### ქრისტიანობის არსი

„ან ეს რადა ვთქვი, რაცა ვთქვი,  
თუ რაც მინდოდა, ვერა ვთქვი.“

დილის ლოცვა:

„ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩემო, შეგვიწყალე ჩვენ, ამინ!..“

\*\*\*

უცნაური დღეა, მაღლმოსილი.

დილიდან გონებაც და გულიც ერთ აზრზე შეთანხმებულან და ასე ერთობლივად ცდილობენ ჩემი სხეულის გარემოცვას. დავიჯერო, ხშირია გრძნობისა და აზრის თანხვედრა? ჰოდა, ამიტომაც უცნაური...

გული მთელი სისპეტაკით მამხნევეს: „ხატი აშენე და ნუ იკმარებ ცად დახატულ „ვეფხისტყაოსანს.“ გონება კი ჩამჩიჩინებს, მოსვენებას არ მაძლევს, განუწყვეტლივ იმეორებს:

„რომ დაინახონ ჩემში, ან ჩემით, რაღაც ახალი, სულ მთლად ახალი...“

შემიძლია თუ არა, ამაზე ჯერ არ მიფიქრია. ის კი უეჭველად ვიცი, რომ არც გულისა და არც გონების დალატის უფლება არ მაქვს. ამასთან, არც იმ კეთილმოსურნე ადამიანის დალატის უფლება მაქვს, რომელმაც დილიდან ჩემი თავი წმინდა ნინოს შეავადრა და უფლის მფარველობა საგზლად გამომატანა. ჰოდა, ამიტომაც მაღლმოსილი...

ჩვენც, მოდი, ვსინჯოთ...

\*\*\*

„არაფერი არ მინდოდა,  
არაფრისთვის მოველ ცადო,  
არაფერი არ გამოდის,  
არაფრისთვის უნდა ვცადო...“

\*\*\*

მე დეღამ მასწავლა, რომ უნდა გადამეწერა პირჯვარი. მან მითხრა, რომ მთელი ჩემი ცხოვრება დაშენდებოდა შემდეგი სიტყვების ძალაზე: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი.“



ისიც გამანდო, რომ ნებისმიერ წუთს შემდეგო ქრისტეს სახელის მოხმობა და მისი შემწეობის მიღება, თუ ჩემს გულში დახვდებოდა მას გულწრფელობა, სიმართლე. სწორედ ამ თვისებების ჭეშმარიტი განმარტებით, თურმე, მონანიებაც შესაძლებელი ყოფილა. მოგახსენეთ, რომ ეს ყოველივე დედამ შთამაგონა, შვილის მფარველმა ანგელოზმა. ვიზრდებოდი ზემონახსენებ საზრისებთან ერთად... ყველაზე გასაოცარი კი, იცით, რა არის?! როდესაც ქრისტეს სახელის უფრო ღრმად შეცნობა და ქრისტიანობის მეტად შესისხლხორცება მოვინდომე, სწორედ მაშინ გამიჩნდა ყველაფრის შესახებ კითხვა: „რატომ?!“ აღარ მახსოვს, პასუხზე ბევრი ვიფიქრე თუ არა. ის კი ფაქტია, რომ აზრებთან ჭიდილი უშედეგო აღმოჩნდა. როგორ გითხრათ... აი, დაახლოებით ისეთ ოთახში მოვემწყვდიე, რომელშიც უამრავი ფანჯარაა. თითოეულის წინ მსგავსი შეკითხვებია მოთავსებული, გარედან კი გისოსები აკრავს. კუთხეში მხოლოდ ერთი, უბრალო და პატარა ფანჯრიდან ასხივებს სინათლე, მხოლოდ მისით ვსუნთქავთ ჰაერს.

არც გისოსები აქვს, არც — ზედმეტი კითხვა და განმარტებები.

არის უკიდვანო სივრცე და წყვდიადიდან ამომავალი ერთადერთი ნათელი შუქი, რომლის გზაც „ტაძრამდე მიგვიყვანს.“ ჰო, ასეა...

ახლა მე ვიცი, რომ დავჯდე და წერა დავიწყო მაცხოვარზე, რომელსაც მთელი სამყარო ვერ იტევს და რომელიც ჩემს გულშია მოთავსებული, უეჭველად არ მეყოფა სიტყვის მარაგი... ქრისტიანის გონებაში სამუდამოდ დამკვიდრებული ლოცვა „მამაო ჩვენო“ აზრთა სიწმინდეა. არ იცი, რა რას ამჯობინო, სიტყვები — აზრებს თუ აზრები — სიტყვებს. ადამიანებს იმიტომ სწამთ, რომ ხედავენ და ხედავენ იმიტომ, რომ სწამთ. მე მაინც ქრისტეს ენაზე თქმულ ყოველ წინადადებაში ჯიუტად ვკითხულობ აზრს: „და თუ სიყვარული შენთან არს, შენთან არს ღმერთი.“

სიყვარული ზეციური ნეტარებაა, ის წმინდაა, დიდია იმიტომ, რომ მას სიყვარული ჰქვია და იმიტომ, რომ, უსათუდ, ღმერთია. მე თუ ვინმე მკითხავს, რა ამშვენებს ყველაზე მეტად ქრისტიანს, დაუფიქრებლად წამოვიძახებდი, რომ ეს არის სიყვარული! დავამატებ, რომ არა მხოლოდ ამშვენებს, არამედ უპირველეს მოვალეობათაგანია. მამ, მითხარით ცოდვა და დანაშაული, რომელსაც სიყვარულით ადვსილი გული ჩაიდენს?! დიდი ხანია, მეფიქრება და მარტო ის გამოვიცანი, რომ ეს უდიდესი გრძნობა გარშემო მხოლოდ სიტბოსა და სიფერადეს აფრქვევს. ეს მაშინ, თუ სიყვარული ჭეშმარიტია და სიყვარული არ შეიძლება იყოს ყალბი. ის არ ცრუობს, არ მლიქვნელობს. სწორედ ამიტომ მეცისკროვნება ერის დიდკაცის, ილია ჭავჭავაძის, სიტყვები: „შენგან ნამცნები სიყვარულით აღმევსოს გული...“



...მე მაინც მგონია, რომ სადღაც ვიდაცას ქრისტიანობის არსის დაღადში ამოხდა სული. ჩემი წარმოსახვით, მას მთელ სახეზე უნდა ეტყობოდეს სისპეტაკე, ჭაღარა თმები უნდა იყოს მისი ასაკის დამადასტურებელი, უთუოდ უნდა მსახურებდეს ხელოვნების რომელიმე სფეროში; უნდა იყოს მუსიკოსი, მხატვარი, მოქანდაკე, მწერალი...ხო, მამასადამე, შემოქმედი...

არა... მადროვეთ და ზუსტად გეტყვით.

თეატრის დიდ სცენაზე ნაპერწკალივით გაღვივებული ადამიანი...

დიდი სივრცე ცოტა მაყურებლით...

ისმის, აქ ისმის „ხმა ღვთისა და ხმა ერისა...“

გულს ამოტანებულ შესრულებას შეწირული არტისტი...

ჰო, ის არის, მე რომ გიყვებოდით...

ბოლო სპექტაკლია, ბოლო ტამიც...

ხშირი ხვნემა და არც ერთი ამოსუნთქვა...

„და სადაც სიყვარულია,

იქ სიწმინდეა, ღმერთიაა...“ — წაიმღერ-წაიდიდინაო...

აღარც ხვნემა და აღარც ამოსუნთქვა, მარტო „ნაანდერძევი“ სიტყვების ექო...

კი, ქრისტიანობის არსის შთაგონებაში ცას შეუერთა სული...

და იქნებ...

იქნებ, მანაც დუმბაძესავით დაგვიბარა: „გაცოცხლეთ სიყვარული დედამიწაზე და მე ადვსდგები მკვდრეთით.“ ადამიანებო, ქრისტეს მადიებლებო, შეგვიძლია სიყვარულის გაცოცხლება?!...

ჩვენც, მოდი, ვსინჯოთ...

\*\*\*

ახლა, ალბათ, უდროოცაა და რთულიც, ასეთ ფილოსოფიასთან შეჭიდება, მაგრამ ერთ დღეს აუცილებლად დავწერ ღმერთის სიტყვაზე, რომელმაც მე გადამარჩინა. დავწერ უფრო ვრცლად, უფრო თავდაჯერებულობით და მეტად მირონცხებულ აზრებს უბრალო სიტყვებით...

\*\*\*

ძილად მისვლის ლოცვიდან:

„...სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა...“



## ლოლა ოდიშარია

სკოლა „ჯი-ელ-სი“ (თბილისი)

### თანამედროვე ლიტერატურა – ჩემი ხედვა

როგორც უმბერტო ეკო იტყოდა, „საკმარისია რამდენიმე უაზრო სიტყვის წარმოთქმა, რომ ისტორიაში შეხვიდე.“ აი, მეც ვეცდები, რომ ჩემმა თემამ ისტორიაში შესვლა თუ არა, სხვა ადამიანების გულებში შესვლა მაინც იწებოს.

ბევრი ვიფიქრე, ამ თემებიდან რომელზე ვისაუბრებდი უკეთესად და მრავალფეროვნად. შინაგანი ხმა მეუბნებოდა, რომ თანამედროვე ლიტერატურის ჩემეული ხედვა ამერჩია. დიახ, დაუფჯერე თითქოსდა უაზრო ხმას, მაგრამ იქნებ აზრიანიც კი აღმოჩნდეს. პატარა რჩევას მოგცემთ, რომ შინაგან ხმას ხშირად ენდოთ, რადგან ის ისედაც თქვენ ხართ, უბრალოდ, რაციონალურად და სწორად მოაზროვნე.

თანამედროვე ლიტერატურას ჩემს ცხოვრებაში სულ სხვა ადგილი უკავია. როგორც ციცერონი იტყოდა, „სახლი, სადაც წიგნი არ არის, ჰგავს სხეულს, რომელშიც არ არის სული.“ ასე ვფიქრობ თანამედროვე ლიტერატურაზეც. თუ არ გაქვს, სამწუხაროა, რადგან მის მიღმა შესანიშნავი და ამოუცნობი სამყარო იმალება. მესმის, რომ წიგნებს, რომლებიც კლასიკად არის ქცეული, უფრო დიდი ადგილი უკავია ჩვენს ბიბლიოთეკაში, ვიდრე — თანამედროვეს, მაგრამ ის, რაც ახალია, არ ნიშნავს გამოუსადეგარსა და ცუდს. ჩემთვის, თანამედროვე ლიტერატურის კითხვას ისეთი ხიბლი აქვს, რომელსაც სიტყვებით ვერ გადმოვცემ. წიგნის არჩევისას ბევრ რამეზე ვაკეთებ აქცენტს, მაგალითად: ყდაზე, სუნზე, ფერზე, ავტორსა თუ გამომცემელზე, მაგრამ გული მაინც თანამედროვე ავტორების სექციისკენ მიმიწევს, ვფიქრობ, ბევრი თანამედროვე მწერლის წიგნი სევდიანია, მაგრამ ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი.

ხშირად მიფიქრია, რომ ჩვენ, ბავშვებს, საინტერესო და განსაკუთრებული ხედვა გვაქვს. თემის დაწერის დროსაც უცნაური შეგრძნება დამეუფლა. ზრდასრული აირჩევდა ამ თემას? ძალიან მშრალი და ლაკონიური ხომ არ არის? იქნებ სხვა ამერჩია? არამც და არამც. ეს არის ის თემა, რომელზეც დღეს უნდა გესაუბროთ და მკითხველო, შენ გასაგონად ვამბობ, რომ, თუ არ გიყვარს ახალი ლიტერატურა და მაინც კლასიკას აღიარებ უკვდავად, ამ თემის წაკითხვის შემდეგ პირველსავე მაღაზიაში გაივლი და რომელიმე თანამედროვე ტექსტს იყიდი.



თანამედროვე ლიტერატურის ნიმუშს ვერ შექმნი, თუ საინტერესო და იდეალური ავტორი არ ხარ. ჩემთვის ასეთი მწერლობის გურუ დათო ტურაშვილია. მახსოვს, წლების წინ „ჯინსების თაობის“ წაკითხვამ რამდენ რამეზე დამაფიქრა. პირდაპირ შემძლია ვთქვა, რომ გაუნძრევლად ვიჯექი და ჩემს თავს ერთ კითხვას ვუსვამდი – რატომ? საერთოდ რატომ მოუნდა მწერალს წარსულში ქექვა და მისი გათანამედროვება. დაახლოებით ერთი კვირა ამ წიგნით ვიყავი შეპყრობილი. საზოგადოდ, წიგნის შესახებ ფიქრი მხოლოდ ერთი დღე მიმყვება, მაგრამ ამან რაღაც უცნაური ბიძგი მისცა ჩემს გონებას. ყველგან პერსონაჟების სილუეტებს ვხედავდი და ვფიქრობდი, თუ რატომ მოუნდათ აწმყოს შეცვლა ისე, რომ არცკი იცოდნენ, მომავალში რა ელოდათ. პერსონაჟები მოულოდნელობის ეფექტით გამოირჩევიან, ერთს ფიქრობენ და სრულიად საპირისპიროს აკეთებენ. ყოველი წინადადების დასასრულს ფართო თვალებით შევცქეროდი ჩემს ტვინში ვიზუალიზებულ სცენას. დათო ტურაშვილმა რეალისტურად აღწერა საბჭოთა კავშირის გავლენა ახალგაზრდა თაობაზე. მეც ჯინსების თაობის მხარეს ვდგავარ, რადგან არ მიმაჩნია სწორად, რომ ადამიანის თავისუფლება ასე უმოწყალოდ შეზღუდო. ის ხომ ყველაზე განვითარებული და მრავალფეროვანი არსებაა. მას საზღვრების განხნა და დაწესებული კანონების დარღვევა სწადია და ეს ის თაობა იყო, რომელიც უცხოური სიგარეტის ლამაზ კოლოფს გაოცებული უცქერდა და მისთვის ჯინსის შარვალი უცხო ხილი იყო. ერთ-ერთ ინტერვიუში ირაკლი ჩარკვიანს ჰკითხეს: „და მაინც ტკბილი იყო 90-იანი წლები?“ მან უპასუხა, რომ, ყველა დაბრკოლებისა და შეზღუდვის მიუხედავად, მათ კომფორტის ზონა იპოვეს, რომლიდანაც გამოსვლა მაინც არ უნდოდათ. რა თქმა უნდა, სამშობლოსა და კერას არაფერი გირჩევნია, არც — სიგარეტის კოლოფი და არც — ჯინსის შარვალი, მაგრამ, როდესაც შენს ტკბილ თბილისშიც გიზღუდავენ თავისუფლებას, ადარაფერი გაკავებს, რომ გაარღვიო საზღვრები და მშვიდი ცურვით სხვა ქვეყანას მიაღწიო.

არიან მწერლები, მაგალითად, აკა მორჩილაძე და ლაშა ბუღაძე, რომლებიც ძალიან საინტერესო თანამედროვე ლიტერატურას გვთავაზობენ. გაოცებული დავრჩი აკა მორჩილაძის „სანტა ესპერანსას“ წაკითხვის შემდეგ. ავტორი ძალიან ოსტატურად შედის სიღრმეებში და გაფიქრებს ყველა სიტყვასა თუ ფრაზაზე. ლაშა ბუღაძის „პატარა ქვეყანა“ ძალიან საინტერესოა. გიტოვებს სურვილს, რომ კიდევ მიუბრუნდე და დავიწყებული წიგნების თაროზე სამუამოდ არ შემოდო. გიორგი კაკელიძეც საინტერესო მწერალია, რომლის წიგნებსაც დიდი ენთუზიაზმით ვკითხულობ. ძალიან მომწონს, რომ ყველა თანამედროვე



ავტორს თავისი გეზი აქვს აღებული და სხვადასხვა კუთხით გვანახვებს ათასგვარ სამყაროს.

ჩემი აზრით, თანამედროვე ლიტერატურას თუ ქმნი, ისეთი ოსტატობა უნდა გამოიჩინო, რომ მკითხველი კლასიკას, ერთხანს მაინც, აღარ მიუბრუნდეს და „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით თქვენიც გახდეს სამაგიდო წიგნი. ძველი თაობა ეჭვის თვალით უყურებს ახლად დაწერილ ტექსტებს – ჰგონია, რომ ტოლსტოისა და ჰიუგოზე უკეთესი მწერალი აღარ დაიბადება, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ არც ძველი უნდა დავივიწყოთ და ახალსაც ინტერესით უნდა შევხვდეთ.

ვგონებ, ახალ წიგნებს პატარა ბიძგი სჭირდებათ. მათ არ ჰყავთ დიდი აუდიტორია, რომელიც მოუსმენს და მიიღებს იმ განცდებს, ავტორს რომ დაეუფლა წიგნის წერის დროს. დიახ, გვყავს ბევრი აღიარებული თანამედროვე მწერალი და ასევე ლიტერატურაც, მაგრამ მათ უკან დგას ბევრი ნიჭიერი, თუმცა დაუფასებელი ლიტერატურის შემქმნელი. როგორც ტერენტი გრანელი არ აღიარეს სიცოცხლეში პოეტად, ასევე დაემართა ბევრ სხვა თანამედროვე მწერალს. მათ მხოლოდ განვსჯით და შეცდომებისკენ მივუთითებთ, არ მოგვწონს წერის სტილი, თავისებური ხელვა. მჯერა, რომ ჩვენ, ახალი თაობა, შევძლებთ, ახალი სიტყვა ვთქვათ თანამედროვე ლიტერატურაში და იქნებ სწორედ ჩვენმა ხმამ გააღოს ბევრი მიუწვდენელი კარი, რომელთა მიღმაც დაუფასებელი ავტორები დგანან. შეიძლება, ზოგიერთს ეყო გამბედაობა, რომ საკუთარი რომანი თუ მოთხრობა გამოექვეყნებინა, მაგრამ სხვებს ამაზე ფიქრიც კი არ უნდათ.

ჩემი ხედვით, ყველა მწერალი უნდა იყოს განსხვავებული და არ უნდა დაეტყოს მის მოთხრობებს სხვა ავტორის გავლენა. სწორედ ისეთი თანამედროვე ლიტერატურა უნდა შექმნან, რომლის წაკითხვის შემდეგ წიგნს თაროზე არ შემოდებ და შენ გვერდით, მაგიდაზე, დაიდებ, რომ გადახედო და იამაყო, რომ ეს შენი თანამემამულის დაწერილია. თანამედროვე ლიტერატურის ყველა ნიმუშს ერთი რამ აერთიანებს – იმედი, რომ რაღაც ახალს მოუყვებიან მკითხველს, იმას, რაც ჯერ თვით შოთა რუსთაველსაც არ უთქვამს.





## კესო ხერგიანი

მიხეილ ხერგიანის სახელობის  
დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლა

### საქართველოს ისტორიის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი პერსონა

თქვენი აზრით, რა იყო ცივილიზაციის პირველი ნიშანი?

— ცეცხლის გამოყენება რომ დაიწყეს?

... თუ ქვის დამუშავება?

ან, იქნებ, დამწერლობა რომ შექმნეს?

არა! ცივილიზაციის პირველი ნიშანი იყო შეხორცებული ბარძაყის ძვალი ადამიანში!

ველურ გარემოში შეხორცებული ბარძაყის ძვალი ნიშნავდა, რომ მასზე ვიდაცამ იზრუნა, ვიდაცამ უერთგულა!

ჩემთვის ეს ზრუნვა არის ცივილიზაციის ჩამომყალიბებელი, ის, რამაც დღემდე მოგვიყვანა, მოგვიყვანა ტკივილით თუ სიხარულით.

ზრუნვა — სწორედ ეს არის ჩემთვის ილია ჭავჭავაძე, ილია, რომელმაც საქართველო ხელში აიყვანა და გულში ჩაიკრა, ისე ჩაიკრა, რომ მისი გულისცემა გაეგო. საქართველოსაც ესმოდა ილიას გულისცემა, ესმოდა, როგორც ძლიერი და მომწოდებელი ხმა, არა როგორც ავის მომასწავებელი, არამედ ცვლილებების დასაწყისი — კეთილი ცვლილებების! მისი გულიდან მოდიოდა ეს ხმა. მისი გულიდან დაიწყო ცვლილებები, „თუ სამყაროს შეცვლა გინდა, ჯერ საკუთარი თავით უნდა დაიწყო.“

ილია ცდილობდა, საქართველოსთვის მოტეხილი ბარძაყი მოემუშებინა. ჩემთვის ცდილობდა, შენთვის ცდილობდა!

...და საქართველო?

— საქართველო მზესუმზირაა, მზესუმზირა, რომელიც მზეს არ შესცქერის.

...მაშ, მზე? — მზე ღმერთია!

ჩატეხილი ხიდი იტანჯებოდა საქართველო, წოდებებს შორის ჩატეხილი ხიდი. ილიას საქართველო, ჩემი საქართველო, ჩვენი საქართველო! ილია ცდილობდა მის გამთელებას, ილია, რომელიც ოთხი წელი რუსეთში სწავლობდა საქართველოსთვის!

„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. — ეს იყო მისი მოქმედება!

კრიტიკული რეალიზმი — სინამდვილის ობიექტური ასახვა.



თერგდალეულებმა შექმნეს XIX საუკუნის ისტორია, დიდი ისტორია! ისინი ცდილობდნენ, მოერჩინათ გულგატეხილი საქართველო, ჩვენი სიცოცხლემისჯილი საქართველო!

ილია იყო მოვლენა, მოვლენა და მერე ხმა, დიდი ხმა! ამ ხმამ გააცოცხლა გულგატეხილი საქართველო, ჩვენი საქართველო!

წიწამური რა იყო?

— წიწამური იყო მზის გამონათების შეფერხება საქართველოსთვის, რომელსაც ასე სჭირდებოდა გონიერი და გულითადი ხმა.

ვერ გაიაზრა გულგატეხილმა საქართველომ, ძლიერი ხმა მხოლოდ ცუდი რომ არ შეიძლება იყოს.

ოჰ, დიდი ილიას ხმა, წმინდანად შერაცხილი ილიას ხმა, კეთილი ცვლილებების მომასწავებელი ხმა! ასე არასდროს მოხდომია საქართველოს სინათლის ხმა.

„ნუ გიდალატებს ეს სილამაზე, ნუ მოგხიბლავს ენა წყლიანი, ყოველთვის გახსოვდეს ილიას პრინციპული კითხვა, ყველა კაცია-ადამიანი?!“

ვინ არის საქართველოს ისტორიის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი პერსონა?

— ამ კითხვაზე ჩემი პასუხი ყოველთვის ერთია — ილია, ი-ლი-ა!

ილია, რომელმაც საქართველოს მიუძღვნა თავი, იმ ხიდის გამთელებას, რომელიც ასე სტიკოდა საქართველოს, იმ ერის გაღვიძებას, რომელიც ასე ებდაუჭებოდა სიზმრებს. ილია, რომელიც ცოცხლობდა საქართველოსთვის და მოკვდა საქართველოსთვის!

განა შეიძლება შეადარო ვინმე მის სიღიადეს, მის დიდსულოვნებას.

ნეტავ, დღეს თუ გვყავს სამშობლოში ილია, ან ხვალ თუ გვეყოლება. ილია, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ქვეყნის სამსახურში ყოფნას, ილია, რომელიც მოკვდება დაქანცული სამშობლოსთვის, როგორც ის დიდი ილია, როგორც ის ცვლილებების წამომწყები ილია?!



## სალომე ქვარცხავა

რამინ დიხამინჯიას სახელობის  
დაბა ჩხოროწყუს №1 საჯარო სკოლა

### ქრისტიანობის არსი

„ქრისტიანი ხარ?“ — ეს კითხვა ჩემთვის ბევრჯერ დაუსვამთ და ყოველთვის, სანამ პასუხს გავცემდი, ვფიქრობდი, ვყოყმანობდი და მხოლოდ ამის შემდეგ გამოკვეთილი ჩემს პოზიციას. ვუბნებოდი, რომ კი, ქრისტიანი ვარ და მწამს ღმერთის. ღმერთის, რომელსაც არასდროს შევხებივარ, რომლის ხმაც არასოდეს მსმენია, მაგრამ მინახავს. დიან, მინახავს. ბევრ ადამიანში მინახავს და ამომიცნია იგი. ამომიცნია ჩემი ღმერთი, რომელსაც მე ვადიარებ და ჩემს სრულყოფილებად ვაქცევ. შეიძლება, ის არ იყოს ჭაღარა, წვერებიანი მამაკაცი, რომელიც ღრუბლებში განისვენებს, მაგრამ ვიცი, რომ ის თითოეულ ჩვენგანშია. თითოეულ ჩვენგანში, განურჩევლად სქესის, რასის, შეხედულებებისა თუ სარწმუნოების, თუ მას ვირწმუნებთ და ფართოდ გავუღებთ ჩვენი გულის კარს. შეიძლება ზოგს უცნაურად მოეჩვენოს და თქვას: ნუთუ არსებობს ღმერთი სარწმუნოების გარეშე?! დიან, მე იმ ღმერთის მწამს, რომელსაც სარწმუნოება კი არ გააჩნია, არამედ მხოლოდ და მხოლოდ შენს მეს, შენს შინაგან ხმას გამოსცემს. ხმას, რომელიც გიბიძგებს რაღაც კარგის გაკეთებისკენ და გეხმარება რაღაცის ნათლად, მკაფიოდ გაგებაში. ისევე, როგორც მე დამანახა ჩემი შინაგანი ძალა.

ქრისტიანობა ჩემთვის არ არის მხოლოდ რელიგია რიტუალებით, ჩემთვის ის ტოლერანტობის, ურთიერთგაგების განსახიერებაა. ის ჩემთვის დიდი სინათლე და ცხოვრების ფუნდამენტი.

ქრისტიანობის არსი ადამიანების სწორი ურთიერთადამოკიდებულებაა. ეს არის სიყვარულისა და თანაგრძნობის განცდა ერთმანეთის მიმართ, რაც ასე ძალიან აკლია და სჭირდება დღევანდელ სამყაროს და, ცხადია, ჩვენს ქვეყანასაც. ის გვიჩვენებს გზას მართებული მიმართულებით და გვეხმარება მომავლის სწორად დაგეგმვასა და განსაზღვრაში.

ქრისტიანობა ძალიან სათუთი და, იმავდროულად, ძალიან საპასუხისმგებლო რამაა, ის ღრმა, ფართო და ვრცელი გაგებისა და გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ვიმოგზაუროთ მის ფერად სამყაროში, გავცნოთ მის ახალ-ახალ საფეხურებს, გამოწვევებსა თუ იდეებს.

ქრისტიანობა ჩემთვის არსობრივად არის საკუთარი თავის რწმენა და



შეცნობა. ეს იდეათა ერთობლიობაა, რომლითაც შეგიძლია საკუთარი თავის რეალიზება და განვითარების მართებული გზის გააზრება.

და ახლა, როდესაც მეკითხებიან ხოლმე — „ქრისტიანი ხარ?!“ ყოველგვარი ზედმეტი ფიქრისა და ყოყმანის გარეშე ვპასუხობ, რომ კი, ქრისტიანი ვარ და ჩემი ღმერთის, ჩემი შინაგანი ხმის მწამს, რომელიც ასე ძალიან შორსაა საზოგადოების მიერ დადგენილი სტანდარტებისგან.



## ანა სანოძე

გრიგოლ კობახიძის სახელობის  
ქალაქ თბილისის №77 საჯარო სკოლა

### ქრისტიანობის არსი

დღეს რომ სახლიდან გზას დავადექი, გონებაში ბევრი რამ მიტრიალებდა. არ ვიცოდი, რა მელოდა, რა არჩევანი მექნებოდა ან რა დამხვდებოდა დასაწერი. იქნებოდა ისეთი თემა, რომელიც შემეფერება?! არ ვიცოდი. გულს ნერვიულობის ჭია ღრღნიდა, რომელიც ამ კონკრეტულ დღეს განსაკუთრებით მშიერი უნდა ყოფილიყო, რადგან თავის საქმეს გასაოცარი სისწრაფითა და ენთუზიაზმით ასრულებდა. თუმცა, როგორც ჩანს, ამ ზემოხსენებულ ჭიასაც აქვს თავისი ლიმიტი და, როგორც კი დანაყრდა, გულსაც შეეშვა. დანაყრებით კი ჭია მხოლოდ მას შემდეგ დანაყრდა, რაც თემების ჩამონათვალს თვალი გადავავლე და იმ თემას მოვკარი თვალი, რომელზეც უნდა გესაუბროთ.

საქმე ისაა, რომ გულს მიღრღნიდა არა ის, რამდენად შევძლებდი ამ თემაში გადმოცემული შეხედულებები მომეწონებინა ჟიურისტისთვის, არამედ ის, მექნებოდა თუ არა შესაძლებლობა ჩემთვის ძალიან საყვარელ და ნაცნობ თეთრ ფურცელზე „ღირსეულად“ დამეტოვებინა კვალი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქაღალდზე მხოლოდ მელანს კი არა, ჩემი გულისნადებსაც დავტოვებდი.

მოგეხსენებათ, 16 წლის მოზარდის გულში დიდი ქარიშხლები მძვინვარებს, რის გამოც, ალბათ, რთული იქნებოდა ათი ისეთი სათაურის მოფიქრება, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს გულის გადაშლის შესაძლებლობას მისცემდა, თუმცა მე გამიმართლა, რადგან, თუკი ჭეშმარიტი ქრისტიანის მოვალეობაა, ყოველდღე დღეში შვიდეჯერ ილოცოს, ჩემთვის ერთადერთი, რაც არასდროს, ან უფრო სწორი იქნება, ვერასდროს ტოვებს ჩემს გულს, ესაა ღმერთზე ფიქრი. შესაბამისად, მშვიდად განვაგრძობ წერას, რადგან ზუსტად ვიცი, თითოეული სიტყვა ამ გვერდებზე მისი გამოძახილი იქნება.

სანამ კიდევ უფრო შორს წავიდოდე ქრისტიანობის არსის ძიების გზაზე და თქვენც გაგიყოლებდეთ, მინდა გაგაფრთხილოთ, გზა ეჭვებითა და პარალელებით იქნება სავსე. თუმცა არ უნდა შეშინდეთ – თქვენ მე მიგიძღვებით, მე კი – ღმერთი, ასე რომ, ყველა უსაფრთხოდ ვართ. მაგრამ მაინც არ იქნება სამართლიანი, თუ იმის საშუალებასაც არ მოგცემთ, წამიერად კითხვები დაუსვათ ჩემს განზრახვებს – საერთოდ



შეიძლება თუ არა მე ვლასპარაკობდე ქრისტიანობის არსზე? ვარ კი საკმარისად კომპეტენტური იმაზე სასაუბროდ, რამაც, ბევრ სიკეთესთან ერთად, კაცობრიობის ისტორიაში ომების სახით ურიცხვი უდანაშაულო შეიწირა?! მე არ ვიცი, ვინმეს თუ დაუწესებია კრიტიკიუმები კონკრეტული „ვაკანსისისთვის“, თუმცა ჩემთვის შეფასების ერთადერთი პრინციპი არსებობს. ვფიქრობ, რელიგიაზე არა, მაგრამ რწმენაზე სასაუბროდ ყველა კომპეტენტურად მიიჩნევა, ვისაც კი ღმერთი უყვარს. მე კი, თუ აქამდე ვერ მიხვდით, ღმერთი მიყვარს. მიყვარდა ბავშვურადაც და მიყვარს მოზარდულადაც.

რაც შეეხება რელიგიას (უკვე საზიფათო ტერიტორიაზე შევდივართ), მე მას ვუყურებ, როგორც რწმენის გამხსნელ სუბსტანციას – რწმენის გამოხატულების საშუალებას, რის გამოც არა მგონია, რომ რელიგიების ქუმარიტი არსი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდეს. ყველა მათგანს ხომ საფუძვლად რწმენა უდევს. შეიძლება, ბევრი გავალიზიანო, თუმცა ამ თემის არჩევა არც ჩემთვის ყოფილა მარტივი საქმე, რაც უნდა იყოს, რელიგია ჯერ კიდევ ძალზე საფრთხილო თემაა, მერე რა, რომ იმდენი ხალხი აღარ იხოცება მის გამო.

რადგან ვახსენე რელიგიის, როგორც რწმენის გამოხატულების ფუნქცია, აქვე დავურთავ, რომ რელიგიების განსხვავებულობა, სწორედაც რომ, დროსა და სივრცეში განსხვავებული ადამიანების სხვადასხვა გადანაწილებამ გამოიწვია იმის მიხედვით, რომელი რელიგიის ჰაერით მოუწიათ მათ სუნთქვამ, რელიგიას თითოეულმა თავთავიანთი რწმენის პატარა რწმენის მძივები მიაბა. შესაბამისად, მე ამ თემის განხილვას მხოლოდ ერთი რაკურსით შევძლებ – ესე იგი, ქრისტიანობის ჩემულ არსს დაგანახვებთ იმ ადამიანის პოზიციიდან, რომელიც დაიბადა და გაიზარდა ქრისტიანულ ოჯახში, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ მისი ქრისტიანობა დიდად განსხვავდებოდა ოჯახის დანარჩენი წევრების რწმენისგან.

კერძოდ, განსხვავებაზე ფიქრი იქიდან იწყება, როცა პირველად დავადგინე, რომ აუცილებელი არაა ქუმარიტება იყოს ერთი. განსაკუთრებული მაღლობის ღირსია ვაჟა-ფშაველა – ადამიანი, რომელმაც ჩემს არსებაში ეს აზრი გააცოცხლა. მართალია, მისი მოსაზრებები ბევრად უფრო ზოგადია, ვიდრე მხოლოდ რელიგიის ქრილიდან განჭვრეტა, თუმცა მე შევეცდები ამ ქრილში დაგანახვით. თუკი, მაგალითად, ბიბლიაში ვხვდებით მსგავს სიტყვებს: „გიყვარდეს მტერი შენი, როგორც თავი შენი“, „ალუდა ქეთელაურში“ ვაჟამ თქვა, რომ, არათუ გიყვარდეს, არამედ მტერი საერთოდაც არ არსებობს. მან თქვა, რომ ყველა „მტერი“ თავისი ქუმარიტებისთვის იბრძვის, რაც მათ ავტომატურად ხსნის „მტრის“ სტატუსს. არა მხოლოდ ვაჟა, კიდევ ბევრი ცნობილი ავტორი



დაუპირისპირდა ქრისტიანობის მანამდე გაბატონებულ აღქმას, მათ შორის, დიდი შოთა რუსთაველი. მან ხომ თავის დროზე დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ქართულ რეალობაში, როდესაც „მიწიერი მიჯნურობა“ „სადვთო მიჯნურობისკენ“ სწრაფვის გზად დაგვისახა და ბევრიც გადაიმტერა.

და თუმცა მე, რა თქმა უნდა, თავს არც ერთ მათგანს არ ვადარებ, მაინც, მათი ეს ისტორიული ნაბიჯები გაბედულებას მმატებს, სხვებს გავუზიარო, როგორ გამოიყურება ქრისტიანობის სამყარო ჩემს თვალში. საერთოდ, სიმართლე ითქვას, რაღაც ეტაპზე ცხოვრებაში ყველა ვუპირისპირდებით რელიგიას, ვუპირისპირდებით და ვურიგდებით, ვუპირისპირდებით და ვზავდებით. და – ისევ და ისევ. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ასეთი შეგრძნება მაქვს, რომ ბოლოს, ოდონდ სულ ბოლოს, და არა იმ ტრადიციულ „ბოლოს“, რომელსაც მიჩვეულნი ვართ – ჩვენთვის, ყველასთვის, ყოველთვის ერთადერთი გამოსავალი ღმერთად რჩება ხოლმე. რამდენი სირთულე, ბედნიერება, სიავეც უნდა გადავიტანოთ, ბოლოს მხოლოდ ღმერთიდა გვრჩება. გინდათ ძილის წინ – ვინ მოგვდის თავში პირველი? – ღმერთი. გინდათ სიკვდილის წინ? – ღმერთი. ყველაზე ცნობილი ათეისტებიც კი, მაგალითად სტალინი, სიკვდილს ღმერთთან თუ არა, რაღაც აღმატებულ ძალასთან საუბრით გამოუსალმნენ. ეს მაფიქრებინებს, რომ, მიუხედავად 7 მილიარდი განსხვავებული აზრისა, მაინც ყველა ჩვენგანში ერთი და იგივე „კოდი“ დევს, რადგან ყველანი ფუნდამენტურად ერთ საწყისს ვეკუთვნივთ. მეტსაც გეტყვით, არა მხოლოდ 7 მილიარდ ადამიანზე, არამედ „კოდირება“ სხვა ცოცხალ ორგანიზმებზეც ვრცელდება: „ყოველი სული აქებლით უფალსა“, ნათქვამია, ჩიტებიც კი თავიანთი ჭიჭიკით უფალს აღიდებენო. ვინ იცის...

აღბათ შეამჩნევდით, რომ აქამდე ზოგადად ვილაპარაკე ღმერთზე და შესაძლოა, ისეთი შეგრძნებაც დაგრჩეთ, სათაური სულაც გადამავიწყდა, თუმცა ეს ასე არაა. მე პარალელებსა და ეჭვს დაგპირდით და ასევე ვაგრძელებ თქვენ დანიშნულების ადგილამდე მიყვანას. მინდა, როგორც ქრისტიანმა, ისე დაგანახვოთ, რა პარალელები შეგვიძლია ვიპოვოთ (პარალელები ანუ ბევრი ქმმარიტება) სხვადასხვა რელიგიაში; ასევე – სხვადასხვა ხედვა ქრისტიანობაში, რომლებიც მას განსხვავებულ ეპოქათა დიდმა მოაზროვნეებმა შემატეს.

რაღაცით ყველა რელიგია ჰგავს ერთმანეთს – არის ღმერთი (მამა ღმერთი – ძე ღმერთი – სულიწმიდა, იახვე, ალაჰი, ა.შ.); არის მოციქული (მუჰამედი, ბუდა, მუსლიმთა აზრით – იესოც, ა.შ.), არის სასწაულები, რომლებსაც მოციქულები თავთავიანთი ღმერთების სახელით სჩადიან. თუმცა საერთო ის აქვთ, რომ აბსოლუტურად ყველა დიდი რელიგია სიყვარულს ქადაგებს.



აი, ეს არის ის ადგილი, სადაც უნდა გადავუხვიოთ ქრისტიანობის შესახვევში და დავინახოთ, როგორი სიყვარული აღმოაჩინეს ქრისტიანობაში დიდმა ადამიანებმა. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანს“ იწყებს ღმერთის ხსენებით და საუბრობს იმაზე, რომ უფალმა სამყარო შექმნა გულში დაუტეველი სიყვარულის გამო. ასევე ამბობს თავის ნაწარმოებში, რომ „სიყვარული ადგვამადლებს“. იმედია, გახსოვთ, გითხარით, ღმერთი მიყვარდა ბავშვურადაც, და მიყვარს ახლაც-მეთქი, რაც იმას ნიშნავს, რომ დღემდე მახსოვს დედაჩემის სიტყვები, როცა მეუბნებოდა: „ჩვენ ყველა ღმერთის შვილები ვართ. ღმერთს ყველა ძალიან უყვარს, და ყოველ ჯერზე, როცა ღვთის სახლში – ეკლესიაში, მივდივართ, ძალიან უხარია“. ალბათ მას შემდეგ დღე არ გასულა, დამით „მამაო ჩვენოს“ უთქმელად დამეძინოს. ნუთუ ესეც განსაკუთრებული სიყვარული არაა? – სხვა არცერთ რელიგიაში ღმერთს, როგორც მამას, ისე არ მიმართავენ. არ ვიცი, დასწრებიხართ თუ არა ოდესმე მართლმადიდებლურ ეკლესიაში ქადაგებას, თუმცა ქადაგებებისთვის ყველაზე აქტუალური თემა (სამართლიანადაც) სწორედ ქრისტიანული სიყვარულია, რომელსაც ყველა იმსახურებს. საინტერესოა შოთა რუსთაველის სიტყვები: „რასაცა გასცემ შენია, რასც არა დაკარგულია“. თუ ამ ფრაზაში სიყვარულს ჩავსვამთ, შევეწინააღმდეგებით ქრისტიანულ გაგებასაც: მართლაც, საქართველოში ბავშვობიდან იმ მსოფლმხედველობით გვზრდიან, რომ სიყვარულს უნდა ვიმსახურებდეთ, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები. როგორც ქრისტიანს, მჯერა, რომ სიყვარული არათუ არ უნდა დაიმსახურო, შეგიძლია, მოითხოვო კიდევ. რადგან, როგორც სხვები იმსახურებენ ჩვენგან, ისევე ვიმსახურებთ მათგან. „Beatles“- ის ბოლო ალბომის ერთ-ერთ სიმღერაში ასეთი ტექსტი გვხვდება: „ბოლოს, სიყვარული, რომელსაც იღებ, უტოლდება სიყვარულს, რომელსაც გასცემ“. ხედავთ? რამდენად ვრცელია ქრისტიანული სიყვარულის არსი, რომლის მახასიათებლებს „ვეფხისტყაოსანსა“ და „Beatles“- ის სიმღერებში ერთდროულად ვპოულობთ? „ვეფხისტყაოსანში“ მოქმედება არც ვითარდება ქრისტიანულ სამყაროში. საბოლოო ჯამში, მე ჯერ არ მინახავს წიგნი ან ხელოვნების ნაწარმოები, რომლებშიც რაიმე კეთილისკენ იყოს მოწოდება და ქრისტიანულიც არ ერიოს შიგ. „განზომილებაში“, როდესაც რიკოტის უღელტეხილზე საცობში გაჭედილი ქართველები სუფრას შლიან, ჯ. ქარჩხაძე ამბობს, რომ ასეთი საქციელი ღვთის არსებობას თუ არა, მის რწმენას მაინც ამტკიცებს. იმავეს ვიტყვოდი ყველა სხვა შემთხვევაზეც, რომლებიც, გარკვეულწილად, სიყვარულითაა ნაკარნახევი.

სწორედ ქრისტიანული სიყვარულის უნიკალურობა განაპირობებს ჩვენში მიმტეველობის უნარს. ისევ და ისევ მოყვასის სიყვარულით („მომიტევენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა





მათ ჩვენთა“) ვხედებით შენდობის ღირსნიც. არ შემიძლია, არ ვახსენო საქართველოს ისტორიაში გამორჩეულად სათნო ადამიანი, ერთ-ერთი დიდი ქრისტიანი, ჩემი შეხედულებით, ოღლა გურამიშვილი, რომელმაც საკუთარი სიყვარულის მკვლელი არ დაასჯევინა. ილია, არა მხოლოდ მისი სიყვარული, საქართველოს იმედიც იყო, თუმცა, ოღლამ ბოლომდე ქრისტიანული სიყვარული არჩია.

მართალია, დასაწყისში გითხარით, რომ ღმერთი არის ყველას „საბოლოო დანიშნულება“ და თითოეულ ჩვენგანში ეს ინსტინქტი დაბადებიდან დევს. თუმცა, არ მინდა იფიქროთ, ამით იმის თქმა მინდოდეს, თითქოს ქრისტიანობაში ინდივიდუალიზმი არ არსებობდეს, პირიქით, როგორც მეთერთმეტე ჟამის მუშაკებს აქვთ თავ-თავიანთი გზები, რომელთაგან უფალმა თითოეული კარგად იცის, სწორედ ისევე განსხვავდება ყველა ადამიანი ერთმანეთისგან. ის, რომ ყველას თავისი ჯვარი აქვს სატარებელი, ბიბლიის ყველაზე ცნობილი – ჯვარცმის ეპიზოდებიდან, მოდის და მან თავი წარმოაჩინა მრავალი მწერლის შემოქმედებაში. მაგალითად სულხან-საბა, რომელიც გვესაუბრება იმაზე, რომ ყველას ჩვენ-ჩვენი მოგვეკითხება, იმის მიხედვით, რამდენს მივიღებთ დაბადებით – იქნება ეს ერთი აბაზი, ორი თუ სამი. სწორედ ამიტომაც თითოეული ჩვენგანის არსებობა ღირებული და მნიშვნელოვანი.

როგორც უკვე გითხარით, მე მჯერა თითოეული პიროვნების ღირებულების, რაც მხოლოდ სათქმელადაა აღვილი, იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ ბევრი ადამიანი ცხოვრობს, რომელიც თავის ადგილს ეძებს ამ სამყაროში და, ამავე დროს, ჩვენ ვამჩნევთ „სამყაროულ ჰარმონიასა და წესრიგს“, რაც ასე ადრე დაინახეს ფილოსოფოსებმა. ზოგმა მას „ბედისწერა“, ზოგმაც „ქაოსი“ დაარქვა. მახსენდება გაბრიელ სალოსის სიტყვები: „ბედისწერის არ მჯერა. ბედისწერა რომ არსებობდეს, ბოროტი ადამიანების ბრალი აღარ იქნებოდა, რომ ბოროტები არიან“. რაც შეეხება ჩემს ქრისტიანულ შეხედულებებს, ღმერთმა როცა ადამიანი გააჩინა, მისცა არჩევანის თავისუფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული. თუმცა, ამავე დროს, ღმერთს ახასიათებს ის სასწაული, რომ „ბოლოს ყველაფერი ისე ხდება, როგორც „წესრიგი“ მოითხოვს“. ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მახასიათებელი რომ ერთიანდება, სწორედ ესაა ქრისტიანობის არსიც.

მგონია, რომ მხოლოდ ღმერთმა იცის, რა არის ჩვენთვის უკეთესი და რა არა, მხოლოდ ღმერთს შეუძლია გადაწყვიტოს, როდისაა დრო სიკვდილისა. ქრისტიანული თვალსაზრისით, ზუსტად ამ მიზეზით ითვლება თავის მოკვლა უდიდეს ცოდვად. ჩვენი თავისუფალი ნება და ღვთის ნება, რომელზეც ახლახან ვისაუბრე, რთული შესარწყმელია. ბევრს ჰგონია, ერთი



მეორეს უნდა ეწინააღმდეგებოდეს, რაც ქრისტიანობამ უარყო. მაშინ, რატომ მიიჩნევა თავის მოკვლა ღვთის ნების საწინააღმდეგო ქმედებად? მან ხომ თავადვე მოგვცა არჩევანი? იმიტომ, რომ თავის მოკვლა არა მხოლოდ ღვთის ნებას, არამედ მის რწმენასაც ეწინააღმდეგება. დასაწყისში ავხსენი ქრისტიანული სიყვარულის შესაძლებლობები, ხოლო, როდესაც ჩვენ თავის მოკვლით უფლის სიყვარულზე ვამბობთ უარს, ეს განაპირობებს ამ ცოდვის სიმძიმეს. სიყვარულის დავიწყებას უკავშირდება ყველა სხვა მძიმე ცოდვაც – ამპარტავნება, ეგოიზმი, პატივმოყვარეობა. ყველა ეს ცოდვა „სიყვარულის დავიწყების ნაირსახეობებია“. თუ დააკვირდებით, სწორედ ისინი წარმოადგენენ გარდამტეხ ცოდვებს ქრისტიანობის ისტორიაში – ამპარტავნობამ გააბოროტა ანგელოზი და აქცია ეშმაკად; პატივმოყვარეობამ და ეგოიზმმა უბიძგა იუდას იესოს გაყიდვისკენ. ყველა მათგანი კი სულაც „ადამის ცოდვიდან“ მოდის, რომელიც ყველა ადამიანში დაბადებიდან დევს. „ადამის ცოდვა“ ჩვენი იმ კაცური ბუნების დამახასიათებელია, რომელიც ღვთიურისგან განგვასხვავებს – ჩვენ არ შეგვიძლია მუდმივად სიყვარულით ცხოვრება. „დაპროგრამებული“ ვართ ისე, რომ პერიოდულად გვავიწყდება სიყვარული, სწორედ ეს გვზღის ადამიანად, რაც უნდა გასაკვირი იყოს.

თუმცა ხშირად, როცა ასე გვავიწყდება ხოლმე, შეხსენებაში გვეხმარება სიყვარული რეალური სამყაროდან – სიყვარული ადამიანებისგან, რაც ისევ გვაბრუნებს ამ თემის ამოსავალ წერტილთან – რომ, ქრისტიანული რწმენის მიხედვით, ყველა ვიმსახურებთ სიყვარულს, რადგან ის გვაბრუნებს ღმერთთან, ღმერთი კი თავად სიყვარულია.

საბოლოო ჯამში, მე არ ვიცი ქრისტიანობის არსის განხილვას რამე მნიშვნელობა ექნება თუ არა თქვენთვის. ბოლოს და ბოლოს, სიმართლეს თუ ჩავხედავთ თვალეებში, შესაძლოა, ქრისტიანობაზე არაფერი გვცოდნოდა, მირიან III სანადიროდ მაინცდამაინც მზის დაბნელებისას რომ არ წასულიყო, ან კონსტანტინე დიდს რომ მისი სამართავ ბერკეტად გამოყენება არ გადაეწყვიტა. თუმცადა, მაინც, „ბოლოს“ – „მამ რა აზრი აქვს გზას, თუ ეკლესიამდე არ მიდის?!“



## ირაკლი ნოზაძე

ჟიული მარტავას სახელობის  
ქალაქ რუსთავის №4 საჯარო სკოლა

### ქრისტიანობის არსი

„წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო,  
წმინდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ!“

ათი წლისაც არ ვიქნებოდი, მე და მამაჩემმა უროსავით მძიმე ჩანთები რომ წავაღებინეთ ორ ბებოს. მე წინ გავრბოდი, რადგან სკოლაში მაგვიანდებოდა, მაგრამ მამიკოს უცნაურმა სიმშვიდემ მეც დამაცხრო. ხელეები ჩაგვწყდა! რომ გამოვემშვიდობეთ, მან თავზე ხელი გადამისვა და ეს მითხრა:

– მხოლოდ ქილებით სავსე ჩანთაა ასეთი მძიმე სატარებელი!

სკოლაში დამაგვიანდა და საჯარიმო მაგალითებიც „ამარტყა“ ვალიკო მასწავლებელმა. არც გამიპროტესტებია.

ვინ იცის, იქნებ იმ დილას უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე მთელი იმ კვირის განმავლობაში?...

დედაჩემი ყოველ შაბათ-კვირას ეკლესიაში დადიოდა. თორმეტ წლამდე მეც დავყავდი, მერე აღარ მაძალებდა. ალბათ, იმიტომ, რომ ყოველთვის ასეთ სიტუაციაში ვაგდებდი:

– დე...

– დე...

– რა იყო?

– დე, დავიტალე... წამო, წავიდეთ რა...

– ხომ იცი, რომ არ შეიძლება! მოითმინე როგორმე! – ვუყურებდი სქელწვერიან მღვდლებს, მერე წითელკაბიან, პირტიტველა კაცუნებს და ისევ გავრისკავდი...

– დე....

– „აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“

– ჩაიმუხლე და მერე ისევ ადექი!

– ჩავიმუხლო? იატაკი რომ ჭუჭყიანია? – დავხედავდი დედას ხელებს, ნასანთლარებით სავსეს, მერე ძირს ჩავაპარებდი თვალს... თავს შემოვუძახებდი...

– დე...

– დამაცა!



მირონს შუბლზე საათობით ვიზელდი... თუ მამა სახლში იყო, ჩემად მომწმენდდა ხოლმე თეთრი პირსახოცით.

დედა მეუბნებოდა, ათეისტია ეგ უდმერთო და მაგას ნუ უყურებო...

სკოლაში ხელებჩაწყვეტილები მივდიოდით... მაგალითსაც ბევრს მაძლევდნენ. ვიზრდებოდი... მეტს ვხვდებოდი... მეტს ვიცინოდი... მეტსაც ვტიროდი...

– რა გატირებს?! – მეუბნებოდა დედა;

– ტუალეტში შედი, იტირე და გამო მერეო, – მეუბნებოდა მამა.

მეც ვიჯექი ამ პატარა ოთახში. ხან იმაზე ვფიქრობდი, რომ მოვა დღე და დავკარგავ ჩემს დედიკოს და მამიკოს, ხან – სიკვდილზე...

საინტერესო რამეა სიკვდილი... მაგრამ ყველას იმიტომ გვემინია, რომ არ ვიცით, რას გულისხმობს იგი...

რაც უნდა მორწმუნე იყო...

რაც უნდა ათეისტი იყო...

„მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი“

მერე ისე დიდხანს ადარ ვიჯექი ტუალეტში...

– ბიბლია წაკითხული გაქვს?

– რა თქმა უნდა, – მიპასუხა მამამ.

– დედას?

– მგონი არა, მაგრამ ფსალმუნებს კითხულობს სულ.

– ღმერთის არ გწამს?

– მწამს, – გაიღიმა უცებ.

– აბა, რატომ არ დადიხარ ეკლესიაში?

– ეგ რას შეცვლის, რო?

– როგორ თუ რას, ეს ხომ...

– მისმინე, თუ სიყვარული გინდა, უეკლესიოდაც გეყვარება! ზოგი ფიქრობს, მანდ ვივლი და სულიც გადარჩენილი მექნებაო. ეკლესიაში სი-არულით შეიძლება სხვები მოატყუო, საკუთარი თავიც მოატყუო, მაგრამ უფალი – ვერა! მარჯვენა რომ მოგტყდეს, თუ პირჯვრის წერას გული არ დააყოლე, მაღლი არ ექნება! შოთა ხომ იცი? გული და ხელოვანებაო, არა? ცუდი არის-მეთქი, კი არ ვამბობ, მაგრამ განა ეკლესიაში ვიზიტებით იზომება შენი ქრისტიანობა?!

– აბა რითი?

ჩაიღიმა:

– ნუ დაგავიწყდება, რომ უფლის სახლია აქაც, – ფეხი მარჯვნივ გასწია, – და აქაც, – ახლა მარცხნივ დააბაკუნა მსუბუქად.

ბოლოს ესდა მითხრა, ძილის დროაო შენი.

ვიხსენებდი ყველაფერს და დროდადრო ცრემლებს ვიწმენდდი...



დედა ატარ მეუბნებოდა, რა გატირებსო... თავად მოთქვამდა გულ-  
ამოსკვნილი. უფალს ევედრებოდა, აღმიდგინეო ჩემი სიყვარული...

ტუალეტში მინდოდა შესვლა...

ვტიროდი და გულში მხოლოდ ეს ჟღერდა ჩუმად:

„წმინდაო ღმერთო,

წმინდაო ძლიერო,

წმინდაო უკვდავო,

შეგვიწყალენ ჩვენ!“



## ნინო ხურცილავა

თბილისის კლასიკური გიმნაზია

### ქრისტიანობის არსი

დღევანდელი ბავშვების უმეტესობას ქრისტესი არ სწამს, ხოლო უფროსი თაობის უმეტესმა ნაწილმა არ იცის, ვინ არის და რატომ არის ღმერთი.

მე დღეს გამოვდივარ კომფორტის ზონიდან და ვწერ ჩემთვის ყველაზე მტკივნეულ თემაზე, როცა ვარ კონკურსზე და, წესით, ყველაზე სახარბიელო სათაურისთვის უნდა დამედო ხელი.

და მაინც, რა არის მიზეზი ბავშვების ურწმუნობისა? ეს არის უფროსი თაობა, რომლისგანაც უნდა მოდიოდეს სინათლე და არა – სიბნელე, თავისუფლება და არა – ინფორმაციულ ვაკუუმში ცხოვრება, სიყვარული და არა – აგრესია.

მე მიყვარდა ქრისტე და ვგრძნობდი მას, მაგრამ არ მიყვარდა ხალხით სავსე ეკლესიაში შესვლა. იქ ყველას ჩამომლილი სახე ჰქონდა, ყველა ერთმანეთს სათლის დანთებაში ეჯიბრებოდა, აბა, ზიარების დროს რიგში პირველი ვინ დადგებოდა... და რატომ? დავიჯერო, სული ეხუთებოდათ და ქრისტეს სისხლის და ხორცის მიღება ასე ეჩქარებოდათ, თუ „საყვარელი“ ეკლესიიდან სწრაფად გასვლა ეწადათ?

ისტორიიდან ვიცი, რომ მორწმუნე ხალხის მართვა უფრო მარტივია. დიახ, ეს ასეა და სულ ასე იყო, მაგრამ არა – ქართველების შემთხვევაში. ისინი რაღაც არაამქვეყნიური ძალითა და ჟინით იბრძოდნენ თავიანთი ღმერთისთვის. რეალურად რომ ვიმსჯელოთ, მათი თავდაუდებლობით ყოვლისშემძლე ღმერთს რას დააკლებდნენ ან რა დააკლდებოდა? არც არაფერი, პასუხი მარტივია – მათ დააკლდებოდათ ღმერთი და არა - ღმერთს რამე...

ზემოხსენებული სიტყვებიდან ვიაზრებთ, თუ ღმერთთან დაახლოებას როგორი გამალებით ცდილობდნენ ქართველები, ახლა კი სასაცილო ტუნდენციაა – ღმერთთან მისვლა სამოთხეში და თან არა იმიტომ, რომ მას შეუერთდე, არამედ იმიტომ, რომ უდარდელად და მარადიულად იცხოვრო. დღეს სწორედ ჯოჯოხეთის შიში და სამოთხისკენ სწრაფვა ხდება მიზეზი ქრისტეს რწმენისა და ასევე ქრისტიანობის დაკნინებული არსის.

ქრისტიანობის არამართებული აღქმიდან მოდის ყალბი აზრები



და სურვილები. შესაბამისად, ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებების მოსმენისას ადამიანები აგრესიას ავლენენ. ნათქვამია, კაცი უფრო გამალებითა და აგრესიით იცავს საკუთარ აზრს, როცა მის სისწორეში დარწმუნებული არ არის. ამას ვერ იაზრებენ ისინი, მაგრამ ქვეცნობიერშია ყოველივე და მათგან გაუაზრებლად ხდება გაურკვევლობის დვარცოფით ყოველი სპეტიკის წალეკვა.

სწორედ ეს აგრესიაა ახალგაზრდების რელიგიასთან გაუცხოების მიზეზი და მას ყოველდღე ვამჩნევთ მედიაში, ან ვაწყდებით ცხოვრებაში.

ქრისტიანობის არსის დაკნინებით ნელ-ნელა ჩამოსტყდა ქართული ერთობის უძველეს კლდეს პირი.

იქნებ არსიც ესაა – გააერთიანოს ხალხი, მისცეს თავისუფლება, გასაქანი და არა შეუქმნას აზროვნებას „რელიგიური“ ჩარჩოები. ეს მხოლოდ ქართველების პრობლემაა, თორემ რენესანსისა და ბაროკოს ამოსავალი წერტილი, სწორედ რომ, რელიგიური სცენებია.

ადამიანებს სჭირდებათ იმედი და რწმენა იმისა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ადამიანები მარტოსული არსებები არიან, მათ სჭირდებათ ვიღაც, ვინც სულთან ეყოლება. ადამიანები ცნობისმოყვარე ქმნილებები არიან, მათ სჭირდებათ იცოდნენ, თუ როგორ დაიწყო ყველაფერი. ყოველივე ამის პასუხი, საყრდენი, თუ გამოსავალი ღმერთის რწმენაა.

რელიგიაში ფხვს თუ შეაბიჯებ, იქიდან გამოსვლა რთულია, რელიგიიდან თუ გამოხვალ, შესვლა დიდი განსაცდელია. არავინ არ ვიცით, რა არის მართალი და არასწორი, რა არსებობს და რა – არა და, თუ გავაღვიძებ ჩემში ოდესღაც მორწმუნეს, წამოვა ზღვა ემოციების, აზრების. ისინი გაიფილტრებიან ჩემი ამჟამინდელი აზროვნების ფილტრში და პასუხი მოვა, ვიდაცისთვის სწორი, ვიდაცისთვის - არა და მაინც, ჩემი პასუხია შემდეგი: ქრისტიანობის არსი არის ღვთის შემოშვება ჩვენში, მისი მოზიდვა ჩვენკენ და იქნებ ამით შეიძლება ცხოვრებაში სილამაზის პოვნა.

დიდი ხანია, რელიგიაზე ასე არ მიმსჯელია, მაგრამ იგი ჩემი წარსულის უდიდესი ნაწილია. წარსულიდან კი გამომდინარეობს მომავალი, რომელიც იქცევა აწმყოდ. რელიგიამ დამიტოვა ალბათ რაღაც ფასეული, რაც ჩემი პიროვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზია.

გავა წლები. მე რელიგიას ან მივუბრუნდები, ან – არა, მაგრამ ყოველთვის ვიამაყებ იმით, რომ მეყო ჩემი აზრისა და გრძნობების გადმოცემისთვის გამბედაობა. ეს ხომ უბრალო თემა არაა, როგორც უკვე ვახსენე.

გავა წლები, ამ დღეზე გამეღიმება...

ვუყურებ დიდ ეკრანზე რიცხვებს, როგორ ჰგავს ყველა ერთმანეთს, მაგრამ როგორი სხვანაირია. ჩემ გარშემო უამრავი გული იმაზე სწრაფად



ფეთქავს, ვიდრე სჩვევია. გარეთ ჩანს, რომ კიდევ შერჩენიათ მწვანე ფოთლები ხეებს, თითქოს არ მოისხეს ოქროს პალეკარტი, რადგან ჩვენ გველოდებოდნენ. ვგრძნობ, ჩვენი გამხნელება უნდათ. მზეც უცნაურია დღეს, თითქოს ფოთლებს ეჩურჩულება, კისკისებენ ერთად. შიგადაშიგ მღერიან, ბავშვების აჩქარებული გულების ტემპს ჰყვებიან. როგორი ლამაზი მომენტიცა, ღმერთო, როგორი საყვარელია ყველა თავისი სერიოზული სახით.

მიუხედავად უფროსების აგრესიისა, მაინც სწამთ ღმერთის (ოღონდ უფრო ჭკვიანურად) და მედიმება, ისევ მედიმება, რადგან საოცრად ნერვიულობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწამთ, რომ შეძლებენ, რადგან სწამთ ღმერთის.



































